


მეტეოროლოგი... 9 წლისაა

ლუციის დოსაფის მოტოკულში უფროსების მხარდამხარ თავისი ბატარა მოტოციკლით სავარჯიშოდ გამოდის 9 წლის იური ბურენკოც. მოტოციკლს იური ამ სამი წლის წინ დაუმეგობრდა. — 6 წლის ბიჭი ველოსიპედით იყო გატაცებული. მოტოკულში სპორტსენებმა დაბადების დღეზე იურის ჩამოწერილი „იავის“ ნაწილებიდან თვითნაკეთი მოტოციკლი აჩუქეს. დიდი შეუპოვრობა იყო საყირო, რომ უჩი მანქანა ბავშვის ხელზე

დამორჩილებოდა, მაგრამ მას იური აჯობა. საქალაქო საოლიკო მოტოკოსებში მან პრიზებიც კი მოიპოვა, ხოლო ამ რამდენიმე წლის წინათ რუსეთის, უკრაინისა და მოლდოვის ყველაზე პატარა მრბოლელთა შორის საუკეთესოდ აღიარეს. შინ იგი თასით, საჩუქრითა და ოდესის ალკი საოლიკო კომიტეტის საპატიო სიგელით ხელდასმევენბული დაბრუნდა. იური მშობლების კვალს გაჰყვა: ანა და ანატოლი ბურენკოები ლუციში ცნობილი მრბოლელები, სპორტის ოსტატობის კონდიტორები არიან. ბავშვი მათი მეთვალყურეობით ვარჯიშობს.

3. ლაგანიძე.



გახანით სტოვის სრულყოფისთვის

ტანვარჯიშულ ლიტერატურაში მსტომელობის გამოყენების საკითხი სათანადოდ დამუშავებული არ არის და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. ტანვარჯიშის თითქმის ყველა სახელმძღვანელოში მოცემულია და შესაბამისად პრაქტიკაში გამოყენება მსტომელობის განვითარების მძლავრობაში მიღებული საშუალებები (მოკლე მანძილებზე რბენა, ადვილზე ხტომა, პატარა სიმაღლიდან ჩამოსვლა და ტემპში დაუყოვნებლივ ასტომა, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომა, დამძიმებით ვარჯიში, ქვედა კიდურების ძალის განმავითარებელი ვარჯიშები და ა. შ.). ამავდროს, ტანვარჯიშის მსტომელობის განსაზღვრა უსუსტად შეესატყვისება მძლავრობაში მიღებულს.

საბჭოთა მძლავრობის მსტომელობის შედეგები უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მათი მომზადების მეთოდიკა საკმაოდ მაღალ დონეზე ღვას.

მძლავრობაში კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები არ შეიძლება მეტანიკურად გადაიტანოთ და გამოვიყენოთ სპორტული ტანვარჯიშის პრაქტიკაში. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს: 1. სხვაობა ხტომის კოორდინაციულ სტრუქტურაში; 2. სხვაობა არეკნის პროცესში განვითარებულ ძალებში — ბევრით ხტომებში მისი ოდენობა აღწევს 1000 კგ-ს (ლ. სემიონოვი და დ. იაკუბინოვი, 1965 წ.), 1500 კგ-ს (ს. თედევი, 1965, 1966 წ.წ.), სიმაღლეზე ხტომაში მაქსიმალური ძალის ოდენობა 700 კგ-ს არ აღემატება (ვ. ბრუმელი, სიგრძეზე ხტომაში — 550-600 კგ-ს (ი. ტერ-ოვანესიანი), 3. სხვაობა გამორბენის სიგრძეში. მაღალკვალიცოციური ტანვარჯიშისთვის განმარბენი მერყობს 18-20 მეტრის (ლ. სემიონოვი, დ. იაკუბინოვი, 1965 წ.), 20-26 მეტრის (ლ. სემიონოვი, 1968 წ.) ფარგლებში, სიგრძეზე ხტომაში ვარჯიშისთვის 35-45 მეტრის, ქალებისთვის კი 30-35 მეტრის ფარგლებში, სიმაღლეზე ხტომაში — 15-24 მეტრის (ვ. ბრუმელი) ფარგლებში; 4. სხვაობა გამორბენის სიჩქარეში. ტანვარჯიშის ვარჯიშისთვის სიჩქარე მერყობს წამში 7,0-7,6 და ქალებისთვის 6,5-6,8 მეტრის ფარგლებში (ლ. სემიონოვი, დ. იაკუბინოვი, 1965 წ.). სიმაღლეზე ხტომაში გამორბენის სიჩქარე წამში უნდა შეადგინდეს 7,5 მეტრის (ვ. დიაკოვი, 1966 წ.), სიგრძეზე ხტომაში — 10,0-10,6 მეტრის (ვ. დიაკოვი, ვ. პობოვი); 5. სხვაობა ტანვარჯიშის სხეულის ფრენის ტრაექტორიაში შესასრულებელი ხტომების მიხედვით. 6. ბოვის „სამუშაო“ უნდა იყოს დრე-

კადი თვისებების გაუთვალისწინებლობა და სხვ. სპორტული ტანვარჯიშის პრაქტიკაში მსტომელობის განვითარებულ ვარჯიშთა უმრავლესობის შესრულების დროს განვითარებული ძალა 7-8-ჯერ ნაკლებია იმ ეტალონთან შედარებით (1500 კგ. ს. თედევი 1965, 1966 წ.წ.), რომელიც ბევრით ხტომების დროს ვითარდება. ეს ვარჯიშები ძირითადად ანალიტიკური ხეობებისთვის ხასიათისაა. მათი გამოყენებით, მიიღწევა ქვედა კიდურების კუნთთა იმ ჯგუფების იზოლირებული განვითარება, რომლებიც არეკნის პროცესში მონაწილეობენ. ამასთან, ნაკლებად ვხვდებით მსტომელობის განვითარებულ ისეთ ვარჯიშებს, რომლებიც ნერვ-კუნთოვანი დაძაბულობის ხარისხით და სტრუქტურით არეკნის — ძირითადი მოძრაობითი მოქმედების ხასიათისა და სტრუქტურას შეესაბამება.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დღესთვის პრაქტიკაში მსტომელობის განვითარებისთვის გამოყენებული ვარჯიშები დიდხანს და სანგრძობად, დაძაბულ შრომას მოითხოვს. შესრულების თვალსაზრისით ისინი ნაკლებად ემთხვევა არიან, რაც შესაბამისად აფერხებს მსტომელობის გამოყენების დინამიკას.

ზემოაღნიშნული მასალისა და ბევრით ხტომებში მსტომელობის კვლევის შედეგების ანალიზიდან (ს. თედევი, 1967 წ.) გამომდინარე, ჩვენ შევქმენით და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის დარბაზში დაგამოხატეთ მსტომელობის განვითარებელი დანადგარების (მოწყობილობათა) კომპლექსი — სთ-1, სთ-2, სთ-3, სთ-4, სთ-5.

დანადგარი სთ-1 კომპლექსური ჯადური სისტემა „შტანგით“ (სურ. № 1). მისი კონსტრუქციული მოწყობილობა საშუალებას იძლევა, რომ ბოვიდან არეკნის პოზაში შესრულდეს არეკნის — ძირითადი მოძრაობითი მოქმედების სტრუქტურული სიმძიმეებით.

დანადგარი სთ-2 ფისსაცმლის ქუსლზე მიმაგრებული სპეციალური რეზინის ამორტიზატორია, რომელიც მორე ბოლითა სურვილისამებრ სპეციალურ დანადგარზე სხვადასხვა სიმაღლეზე მაგრდება.

დანადგარი ბოვზე დახტომის სტრუქტურულად მსგავსი მოძრაობების შესრულების საშუალებას იძლევა. იგი ძირითადად გათვალისწინებულია სწრაფძალოვანი თვისების ცალკეული პარამეტრების, ქვედა კიდურების მომხრელი კუნთების ძალისა და გამწვლეული კუნთების სისწრაფის განვითარებისთვის.

დანადგარი სთ-3 კომპლექსური ჯადური მოწყობილობა შეიქმნა დაყენებულ „შვედურებში“ მოძრავი სიმძიმითა და ლიანდაგებზე მოძრავი სისტემით (სურ. № 2). მისი კონსტრუქციული აგებულება საშუალებას იძლევა შესრულებული იქნეს ბოვიდან არეკნის ცალკეული ფაზების სტრუქტურული დიფერენცირებულ-დისირებული დატვირთვები.

დანადგარი სთ-4 კომპლექსური სისტემა ლიანდაგებზე მორავი სიმძიმით (სურ. № 3). იგი ძირითადად განკუთვნილია ქვედა კიდურების კუნთების ძალისა და სისწრაფის გასაფითარებლად. ამ სისტემის კონსტრუქციული მოწყობილობა დიფერენცირებული დატვირთვით მუშაობის საშუალებას იძლევა.

დანადგარი სთ-5 საქანელა (სურ. № 4). ამ დანადგარის კონსტრუქცია საშუალებას იძლევა სხვადასხვა პოზაში შესრულდეს ბოვზე დახტომისა და ამორტიზაციის ფაზების სტრუქტურულად და მოძრაობითი მოქმედების ხასიათით მსგავსი მოძრაობები, დახლოებით ისეთი ძალის განვითარებით, როგორც ბევრით ხტომის დროსაა საჭირო.

ზემოაღნიშნული დანადგარების კონსტრუქციული მოწყობილობა ტანის სხვა ნაწილების — ზედა კიდურების, მხრის სარტყლის, ზეგანის წინა და უკანა ზედაპირის კუნთებისა და ა. შ. ძალის განვითარების საშუალებას იძლევა.

ბოლო სამ დანადგარზე მსტომელობის ცალკეული პარამეტრების განვითარებისთვის მუშაობა თამაშის ხასიათით სრულდება და მიმდინარეობს ემოციური მდგომარეობის ამაღლებით. ამას ხელს უწყობს დანადგარებზე დაყენებული სპეციალური აპარატურა, რომელიც არეკნის დროს განვითარებული ძალის ოდენობის სწრაფ ინფორმაციას იძლევა.

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს ვთქვათ, რომ ზემოაღნიშნულ დანადგარებზე წარმატებით შეუძლიათ ვარჯიში იმ სახეობათა წარმომადგენლებს (ძალისხობა, მძლავრობა, აკრობატიკა, ფრენბურთი, წყალში ხტომა, ცურვა და სხვ.), რომლებსაც სჭირდებათ კარგად განვითარებული, სწრაფძალოვანი კომპლექსური ფიზიკური თვისება — მსტომელობა.

ს. თაღაძე,
სპორტულ ტანვარჯიშში უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის დირექტორის მოადგილე, ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრწნელი.

რაღაძე ივანე. ამ საკითხით დაინტერესებულ სპორტსმენებსა და სპეციალისტებს ზემოაღნიშნული დანადგარები შეუძლიათ ნახონ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში.

მ ა დ რ ა კ ი ს გ ა კ ვ ი თ ი ლ ე ბ ი ს კ ო ლ ა შ ი

სამარყანდის მახლობელ დაბა შიანის 75-ე საშუალო სკოლის IV-მ კლასში ჩვეულებრივი სასწავლო დაფის გვერდით ამ ერთი წლის წინ ჯადრაკის სადემონსტრაციო დაფა გაჩნდა, ხოლო მეცადინეობის ცხრილში — ჯადრაკი. ამ სახლის თათსანი იყო ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებელი, ჯადრაკის თავგამოდებული ქომაგი და პროპაგანდისტი ბახოდირ ხუდაიბერდევო. მის წინადადებებს მხარი დაუჭირეს სკოლის პედაგოგიური საბჭოს დასკვნითს კრებამზე.

ჯადრაკი ამ სკოლის მოსწავლეთა შორის უდავოდ სპორტის ყველაზე მასობრივი სახეობაა. ეს თამაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა სკოლაში მისი ყოფილი მოსწავლის ხუდაიბერდევოს დაბრუნების შემდეგ, რომელმაც სამარყანდის უნივერსიტეტი დაამთავრა.

ბახოდირის სპორტული ბიოგრაფია უნივერსიტეტში დაიწყო. იგი პირველკურსელი იყო, როცა თავისი პირველი „სვლა“ გააკეთა. უკრებებიანი დაფები იქ ახლა სტუდენტური საერთო საცხოვრებლის თითქმის ყველა ოთახშია. ჯადრაკს ჩაიხანაშაო თამაშობენ, ხოლო ფაკულტეტის სასახლეში ხშირად ატარებენ ბლიც-ტურნირებს.

ერთი წლის შემდეგ ხუდაიბერდევო უკვე უნივერსიტეტის ნაკრებში გამოდიოდა, ხოლო ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლის დიპლომის მიღებისთანავე ერთად პირველთანრიგისადაც გახდა.

სკოლის დირექტორმა ხ. რასკოვამ მხარი დაუჭირა ახალგაზრდა პედაგოგს, რომლის აზრით ჯადრაკს საინტერესო უნდა მოეჩანა სასწავლო-ალმურღელობითი მუშაობისთვის.

თავდაპირველად ბახოდირმა ჩამოაყალიბა წერტილი, რომელშიც 50 ბიჭი ჩაეწერა. „ფასთაქობის“ რაისაბჭოს თხოვნით იგი რაიონის ნაკრები გუნდის მწვრთნელი გახდა.

1970 წელს ამ გუნდმა, რომლის ნახევარს მოსწავლეები შეადგენდნენ, I ადგილი დაიკავა სოფლის სპორტსმენთა საოლიკო შეჯიბრებაში, ხოლო მეცხრეულსაველაზე გ. ტომევი ჩემპიონის ოქროს მედალით მიიღო. ერთი წლის შემდეგ გუნდი წარმატებით გამოვიდა რესპუბლიკურ სპარტაკიადში. განსაკუთრებით „დოვლათიანი“ იყო ეს წელიწადი მეორე მეცხრეულსაველისთვის რაზმა ხუდაიბერდევოსთვის. ერთ-ერთ შეჯიბრებაში მან III ადგილი დაიკავა, სხვაში კი, სადაც რაიონის მოჭადრაკე გოგონები რესპუბლიკის ჩემპიონები გახდნენ, პირად ჩათვალაში გაიმარჯვა. ამ შეჯიბრებებში თავი გამოიჩინა კიდევ ორმა მოსწავლე გოგონამ — მეცხრეულსაველა საჩიდა თილიოვამ და მეექვსეულსაველა რაპილია ხუდაიბერდევამ, რომლებიც მეორეაპირიგონები გახდნენ.

ორი წლის მანძილზე სკოლის ოც-მა ნორმა მოჭადრაკე მიიღო სპორტული თანრიგები. მაგრამ ხუდაიბერდევოს მთავარი მიზანი — ჯადრაკი

სა და პედაგოგიის დამეგობრება — ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული. მასწავლებელი კვლავ მივიდა დირექტორთან.

დაათვალისწინებ, დაესწარიტო გაკვეთილებს, — ურჩია რასკოვამ. — მხარს დაგიჭერთ, მაგრამ შეჭველად ესაუბრეთ მშობლებს, მიიღეთ მათი თანხმობა ბავშვების დამატებითს დატვირთვაზე.

ასე გაჩნდა კლასში ჯადრაკის სადემონსტრაციო დაფა, ხოლო კვირამი ორჯერ ოცდაათივე ბიჭი და გოგონა კრებოდა „დაუვეგებავ“ გაკვეთილებზე და რვეულში გამოჰყავდა: „მ 2-ე 4“...


გაკვეთილებზე მოდიოდნენ სულ პატარებიც — პირველკლასელები საბირბაბაკალანოვი და ანრიტინ უმაროვი. თავიანთ თანატოლებს შორის მათ პირველებმა შეძლეს ერთ წელიწადში საჭადრაკო ანბანისა და ნოტაციის ათვისება.

და აი, სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ განიხილა ექსპერიმენტული საჭადრაკო გაკვეთილების შედეგები: „მოსწავლეების მოსწრებამ იმატა, ხოლო კლასის ისეთმა „თავგამოდებულმა“ მოჭადრაკეებმა, როგორც არიან ვ. შარიპოვი, ბ. ოლიბაძე, ს. კოლესნიკოვა, ზ. შარიპოვა, გ. ტომევა, სასწავლო წელი მხოლოდ კარგი და ფრიალი შეფასებებით დაამთავრეს. კმაყოფილი არიან მათი მშობლებიც — ქალიშვილები და ვაჟიშვილები უფრო სერიოზული, საზრიანი, დისციპლინირანი გახდნენ.“


სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ გადაწყვიტა ექსპერიმენტის გაგრძელება, ხოლო მისი აგტორი ამ უჩვეულო კლასის ხელმძღვანელად დამტკიცა, კლასისა, სადაც მეცხრეულსაველათა საფუძვლებთან ერთად იწავებიან დამძინის ზურგზე უძველესი თამაშის სილამაჩესა და სიბრძნის.

ი. იუღინი.
(საჯვების კორ.).


უზბეკეთის სსრ.




ო. მურვანიძე.



სურ. № 1.



სურ. № 2.



სურ. № 3.



სურ. № 4.

**თქვენთვის,
სპორტსმენებო —
დამხმარე
საშუალებანი!**




კოლგეურნეები ნორმასწივებს აბარებენ

ლაია, აგრონომი გ. ბასილაია, მე-სიმინდე შ. თოდუა და სხვ.

კოლმეურნეობაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის სათანადო დონეზე დაყენება სასოფლო-სამეურნეო არტელის გამგეობის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გ. თოდუას, პარტორგანიზაციის მდივნის ა. ბასილაიასა და კომკავშირელთა თავკაცის ფ. ხულორდავას ზრუნვის შედეგია.

კოლმეურნეობის ფიზკულტურულ საქმიანობა განსაკუთრებით მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის გამართულმა შეჯიბრებებმა გამოაცხადა.



გ. ჯაყელი.
სოფ. სალხინო, გეგმაკორის ტაიონი.


სურათზე: მშენებლობის ნორმატივების ჩაბარების მომენტები. შტაბის შესყიდვები სოფლსაბჭოს მდივანი ი. დღვილაძე; მესიმინდე მ. ხურცილაძე ხელყუმბარას ტყორცნის; სიგრაძე ზენა აგრონომი ფ. ხულორდავა.



სტალინის სახელობის სალხინოს კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივი გეგმაკორის რაიონში ერთ-ერთი მწიფე ორგანიზაციაა. აქ ნაყოფიერად საქმიანობენ სექციები, რომლებშიც 68 კოლმეურნეა გაერთიანებული. სექციებს საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობენ: ცხენოსნებს — ზოვეტქიმი ი. ცაავა, ფრენბურთელებს — კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტი მ. ცაავა, ფრენბურთელებს — მექანიზატორი მ. სხულუხია, მძლავრებს — მესიმინდე ი. ბერიშვილი, კალათბურთელებს — კოლმეურნე შ. სარჩიშვილი...


აქაური ფიზკულტურელები შრომის შემდეგ სპეციალური არიან. ფრენბურთელებმა ნაწილი სხულუხიამ წლებულს ტონანბერის ნაცვლად 2 ტონა ხარისხიანი ჩაის ფოთლი მოკრიფა, მშენებლობის კომპლექსზე კი უკვე სამი სახეობა (სიგრაძე ზენა, 100 მეტრზე რბენა, ცურვა) წარმატებით ჩააბარა. სპორტში მისმა თანამოსაქმემ ნინა სხულუხიამ 2 ტონა ჩაის ფოთლის მოკრიფვის გეგმა 150 პროცენტით განაღდა.

კოლმეურნეობის საუკეთესო სპორტსმენები არიან, აგრეთვე, მექანიზატორი გ. ხურცილაძე, ტრაქტორისტები ა. ჯოჯუა და გ. ბასი-



კორჯონის ტურბაზა ყოველწლიურად სსრ კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოსულ ათასობით მშრომელს ემსახურება — ერთდროულად 400 კაცს მასპინძლობს. მათთვის აქ აქტიური დასვენების ყველა პირობაა შექმნილი. ტურბაზის სტუმრები ყოველდღიურად ხუთი სხვადასხვა მარშრუტით გადიან. ერთი მათგანია კახის ტბის მიდამოები, რომელიც რაიონული ცენტრიდან 20 კილომეტრითაა დაშორებული და ზღვის დონიდან 1700 მეტრზე მდებარეობს.

სურათზე: ფსკოველი, კონსტრომელი და პერმელი ტურისტები კახის ტბაზე ტივის სეირნობენ.



მკრთაის დიდი ფეხსურთის პირველი დღე

ჩამავიონთა თასი
მეთამასხმებლდინალი, პირველი წრე

- „სვაროვსკი-ვაკერი“ (ინსბრუკი, ავსტრია) — „დინამო“ (კიევი, სსრ კავშირი) 0:1
- „რედ-მადრიდი“ (ესპანეთი) — „კელაფიკი“ (ისლანდია) 3:0
- „ანდერლექტი“ (ბრიუსელი, ბელგია) — „ვაილი“ (დანია) 4:2
- „უიპეშ დოვა“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ბაზელი“ (შვეიცარია) 2:0
- „სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) — „რუსენბორგი“ (ნორვეგია) 2:1
- „გალათასარაი“ (სტამბოლი, თურქეთი) — „ბაიერნი“ (მიუნხენი, გერ) 1:1
- „ლიმპიკ-მარსელი“ (საფრანგეთი) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) 1:0
- „მალმო“ (შვეცია) — „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) 1:0
- ცსკა-„სპეტმვრისიკო ზნამე“ (სოფია, ბულგარეთი) — „პანათინაიკოსი“ (ათენი, საბერძნეთი) 2:1
- „შლიფმა“ (მალტა) — „გურნიკი“ (ზაბუე, პოლონეთი) 0:5
- „მაგდებურგი“ (გერ) — „ტურკუ“ (ფინეთი) 6:0
- „არის“ (ლუქსემბურგი) — „არჯენსი“ (პიტეშტი, რუმინეთი) 0:2
- „დერბი ქაუნთი“ (ინგლისი) — „უელფენჩირი“ (სარაევო, იუგოსლავია) 2:0
- „უოტერფორდი“ (ირლანდია) — „ომონია“ (კიპროსი) 2:1

თასების მფლობელთა თასი

მეთამასხმებლდინალი, პირველი წრე

- „სპარტაკი“ (მოსკოვი, სსრ კავშირი) — ადო (პაავა, პოლონდია) 1:0
- „შლექე-04“ (გელზენკირხენი, გერ) — „სლავია“ (სოფია, ბულგარეთი) 2:1
- „ვიკინური“ (ისლანდია) — „ლეგია“ (ვარშავა, პოლონეთი) 0:2
- „ანკარა გილჩი“ (თურქეთი) — „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) 1:1
- „მაილუი“ (სალიტი, იუგოსლავია) — „ფრედრიქსტადი“ (ნორვეგია) 1:0
- „რაბიდი“ (ვენა, ავსტრია) — პაოკ (პირეოსი, საბერძნეთი) 0:0
- „ციურიში“ (შვეიცარია) — „რედსპეი“ (უელსი) 1:1
- „სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „მიბერნიენი“ (ედინბურგი, შოტლანდია) 2:1
- „რაბიდი“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ლანდსკრუნა ბოიზი“ (შვეცია) 8:0
- „მიბერნიენი“ (დუბლინი, ირლანდია) — „პეზოპორიკოსი“ (კიპროსი) 4:1
- „ფრემადი“ (დანია) — „ბესა“ (ალბანეთი) 1:1
- „კარლ ცაისი“ (იენა, გერ) — „მიკელი“ (ფინეთი) 6:1
- „სტანდარდი“ (ლიეჟი, ბელგია) — „სპარტაკი“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) 1:0
- მატჩები: „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) — „ბასტია“ (საფრანგეთი), „მილანი“ (იტალია) — „რედ ბოისი“ (ლუქსემბურგი), „ფრედერცვაროზი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ფლორიანა“ (ლა-ვალეტა, მალტა) მოგვიანებით გაიმართება.

უფა-ს თასი

მეთამასხმებლდინალი, პირველი წრე

- I ჯგუფი**
- „აბერდინი“ (შოტლანდია) — „ბორუსია“ (მენჩენგლადბახი, გერ) 2:8
 - „ბრიუჟი“ (ბელგია) — „ატვიდაბურგი“ (შვეცია) 5:8
 - „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლისი) — „ლიუნე“ (ნორვეგია) 6:8
- II ჯგუფი**
- „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) — „ვალენსია“ (ესპანეთი) 2:2
 - „კოლნი“ (გერ) — „ბოქემიენსი“ (ირლანდია) 2:1
 - „მონველი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „პარტიკ თისტლი“ (შოტლანდია) 1:0
 - „ვიკინგი“ (ნორვეგია) — იბე (ისლანდია) 1:0
- III ჯგუფი**
- „რიუმელინგენი“ (ლუქსემბურგი) — „ფეინიორდი“ (როტერდამი, პოლონეთი) 0:9
 - „ლიმპიკ-ნიმი“ (საფრანგეთი) — „გრასპოპერსი“ (ციურიში, შვეიცარია) 1:2
 - „ვიტორია“ (სეტუბალი, პორტუგალია) — „ზაგლებე“ (სოსნოვეცი, პოლონეთი) 6:1

IV ჯგუფი

- „სტოკ სიტი“ (ინგლისი) — „კაიზერსლაუტერნი“ (გერ) 8:1
- „ტორინო“ (იტალია) — „ლას-პალმასი“ (ესპანეთი) 2:0
- „სოშო“ (საფრანგეთი) — „ფრემი“ (დანია) 1:8

V ჯგუფი

- „ანჟე“ (საფრანგეთი) — „დინამო“ (ბერლინი, გერ) 1:1
- „უნივერსიტატი“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „სპარტაკ-ლეგსკი“ (სოფია, ბულგარეთი) 4:1

VI ჯგუფი

- „ცრვენა ზეზლა“ (ბელგარდი, იუგოსლავია) — „ლოზანა“ (შვეიცარია) 5:1
- „ინტერნაციონალი“ (მილანი, იტალია) — „ლა-ვალეტა“ (მალტა) 6:1
- „ბეროე“ (ბულგარეთი) — „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) 7:0
- „უტა“ (პრაღა, რუმინეთი) — „ნორჩიოპინგი“ (შვეცია) 1:2

VII ჯგუფი

- ევა (ლარნაკა, კიპროსი) — „არარაკი“ (ერევანი, სსრ კავშირი) 0:1
- აეკ (ათენი, საბერძნეთი) — „შალგოტარიანი“ (უნგრეთი) 3:1
- „დუკლა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „ოფ-ბელგარდი“ (იუგოსლავია) 2:2

VIII ჯგუფი

- „სლოვანი“ (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) — „ვიოვილინი“ (ნოვი სადი, იუგოსლავია) 6:0
- „დინამო“ (თბილისი, სსრ კავშირი) — „ტვენტე“ (ენსხედე, პოლანდია) 3:2
- „რუზი“ (ხოუფი, პოლონეთი) — „ფენერბაჩი“ (სტამბოლი, თურქეთი) 3:0
- „დინამო“ (დრეზდენი, გერ) — „ლინცი“ (ავსტრია) 2:0

უფა-ს თასის გათამაშების 6 მატჩი: „ჰენდლვორე“ (დანია) — იფკ (მელსნიკი, ფინეთი), „ლივერპული“ (ინგლისი) — „ანტარაბტი“ (გერ), „რესინგ ვიტი“ (ბრიუსელი, ბელგია) — „ბარეირენსე“ (ბარეირუ, პორტუგალია), „ოლიმპიკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი) — „კალიარი“ (იტალია), „პორტუ“ (პორტუგალია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი), „ესპეშპირსპორი“ (ესპეშპირი, თურქეთი) — „ფიორენტინა“ (იტალია) მოგვიანებით გაიმართება.

